


ლევე მდებარე თამაში. განვლ: ლ კვირას, მო- სკოვი... მძლეოსანთა შეჯიბრე- ზაზე ვ. ბრუნიელმა მი- დროსა წააგდეს. მანა გ- დალაბა 2 მ 23,6 სმ სი- მალე და ერთი სანტი- მეტრით გააუმჯობესა ჯ. თომასის მსოფლიო რეკორდი.



გასული წლის პირ- ველ იელისს ამერიკის შეერთებული შტატების ქ. სტენფორდიდან ელ- ცელდა ცნობა ჯ. თომა- სის მიერ ფანტასტიკურ- ი სიმაღლის — 222,9 სმ-ის დაძლევისა და მსოფლიო რეკორდის დამყარების შესახებ. იმ დროისათვის საბჭოთა სპორტსმენების საუკე- თესო შედეგი 216 სმ- არ აღემატებოდა.

ბევრი წინასწარმეტყვე- ლებდა, რომ მსოფლიო რეკორდი სულ მალე გადაინაცვლებდა მის მხარეს. მართლაც, საბჭოთა მძლეოსანმა სეზონის დასაწყისშივე ზედიზედ დაძლია 218 სმ და იერი- ში მიიტანა მსოფლიო რეკორდზე, მაგრამ რამ- დენიმეჯერ მხოლოდ უკანასკნელ მომენტში ჩამოაგდო 223 სმ სიმა-

ბროტარაგო ყველა მკვყენისა, შაბტლით!

თეატრი

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საზოგადოება ორგანო
ЛЕЛО
Organ Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

20

ი ვ ნ ი ს ი

საშაბათი,

1961 წ.

№ 84 (1720)

გამოცემის 80-17 წელი

ფასი 8 კაპ.

ი. ბალაში-188 სმ

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავა- ში გაიმართა მძლეოსანთა საერთა- შორისო ტრადიციული შეჯიბრება ცნობილი პოლონელი სტაიერის 1932 წლის ოლიმპიადის ჩემპიონის ი. კუსონისის პრიზზე. შესანიშ- ნავ წარმატებას მიაღწია მსოფლიო რეკორდსმენმა ქალთა შორის სიმა- ლეზე ბტომში რუმინელმა ი. ბა- ლაშიმ. მან დაძლია 188 სმ სიმაღ- ლე და კიდევ ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი.

ქიდავ მრი სანსიგურით

მოსკოვის თასის გათამაშება მძლეოსნობაში ყოველწლიურად ტარდება და, როგორც წესი, მაღა- ლი შედეგებით მთავრდება. განსაკუთრებით დიდ წარმატე- ბას მიაღწია ჩვენი ქვეყნისა და ევროპის რეკორდსმენმა ვაჟთა შო- რის სიგრიტე ბტომში ი. ტერ- თვანესიანმა, რომელიც შეჯიბრება- ში კონკურსგარეშე გამოდიოდა. მან პირველივე ცდაზე აჩვენა 8 მ 19 სმ და 2 სანტიმეტრით გააუმ- ჯობესა მის მიერვე ამას წინათ დამ- ყარებული საკავშირო და ევროპის რეკორდი. ახლა იგი მხოლოდ 5 სანტიმეტრით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდსმენს რ. ბოსტონს (აშშ).

ნ. მძინარიშვილი აგარტლავს ივალს

ჩოგბურთელთა არაოფიციალუ- რი მსოფლიო ჩემპიონატის — უიმბლდონის ტურნირის წინ მსო- ფლიოს უძლიერესმა მოთამაშე- მმა თავიანთი ძალების გამოცდა დაიწყო ბენგონის კორტებზე. ამ შეჯიბრებაში წარმატებით გამოდიან ჩვენი ქვეყნის ახალგაზ- რდა ჩოგბურთელები კიევილი გ- ბაკშეივა და თბილისელი ნ. მძი- ნარიშვილი. 4000 მაყურებლის თვალწინ გ- ბაკშეივამ ჩინებულად და- ამარცხა ინგლისელი ჩოგბურთელი პ. როულსი — 6:2, 6:3 და ნახე- ვარფინალში მოუგო მისივე თანა- მემამულეს — გამოცდილ ჩოგ- ბურთელ კ. დენისს — 4:6, 6:1, 6:1. ნ. მძინარიშვილი ყველა შეხვედ- რას ოსტატურად და შეცდომების გარეშე ატარებს. მან დამაჯერებე- ლი ანგარიშით 6:0, 6:0 დაამარცხა ინგლისელი დ. სტრიტსი, ამერი- კელი გ. ჰელლი და ფინალში შეხ- ვდა 17 წლის შედ ჰ. ბერნსტიენს. ქაბუკი ქართველი აშკარად ჯობ- და თავის მოწინააღმდეგეს სისწ- რაფეში, რამაც განაპირობა კიდევ მისი გამარჯვება ტექნიკურად კა- რგად მომზადებულ შედეგზე — 6:2 და 6:0.

უცნაურად გაიხმის ეს სიტყვები საქართველოში, განსაკუთრებით ახლა, როცა ტემპერატურა ჩრდილ- ში 30 გრადუსს აღემატება.

და მაინც, ეს რეალური ამა- ვია საქართველოს სპორტსმენებთან სტუმრად მოდიან საბჭოთა კავ- შირის ნაერები გუნდის წევრები ციგურებით ფიგურულ სრიალში. მოსკოველი და ლენინგრადელი ოსტატები თბილისელ — მაყურებ- ლებს გაუმართავენ საჩვენებელ გამოსვლებს სპორტის სასახლის ხელოვნურ საციგურაოზე.

ჩვენი ქვეყნის ნაერები გუნდის შემადგენლობაში გამოვლენ საბჭო- თა კავშირის 1961 წლის ჩემპიონე- ბი ტ. ნემცოვა და ვ. მესოვი, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონა- ტებისა და სკვოველის ოლიმპიურ- ი თამაშების მონაწილენი: ლ. ბელოუსოვა, ო. პროტოპოპოვი, აგრეთვე ცნობილი ოსტატები ა. ვედენინი, ტ. ბრატუსი და სხვ.

ამრიგად, თბილისელები ამ შე- სანიშნავი სპორტსმენების „ხელ- წერით“ გაცნობიან სპორტის კი- დევ ერთ ახალ, მეტად ლამაზ სა- ხეობას — ციგურებით ფიგურულ სრიალს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ტ. ნემცოვა შეასრულებს მშვენიერ კომპოზიციას სენ-სანის მუსიკაზე „მომავლადი გელი“ და ამა-

ციგურები აზკრიალზე უინულზე

ღელვებელ ვარჯიშს „გაზაფხული“ (მუსიკა ე. გრიგისა). მეტად საინ- ტერესო იქნება ტემპერამენტაინი ი. ლიულიაკოვას გამოსვლა. მის ცეკვას გუნოს ოპერა „ფაუსტის“ მუსიკის თემებზე დიდი წარმატება ჰქონდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ საერთაშორისო სარბიე- ლებზეც. ჩვენი ქვეყნის პირველო- ბის პრიზიორი ა. ვედენინი შეას- რულებს ვარიაციებს რუსულ-ქარ- თულ თემებზე.

წყვილთა გამოსვლებში მაყუ- რებლები ნახავენ ევროპის ერთ- ერთ ყველაზე უფრო ძლიერ წყვილს — ლ. ბელოუსოვა - ო. პროტოპოპოვის, რომლებიც წარ- მოადგენენ გრაციოზა და ლირი- ზმით აღსავსე კომპოზიციას — „სიყვარულის ოცნებანი“ (ლის- ტის მუსიკის თანხლებით).

ფიგურული სრიალის ოსტატთა გამოსვლის პროგრამა მეტად მრავალფეროვანი და მდიდარი იქნე- ბა. ქართველი მაყურებლები პირ-

ველად ნახავენ თავიანთი საკუთარ- ი ფიგურისტების გამოსვლასაც. ეს სასიამოვნო და დიდი სიურპრი- ზია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სპორტის აღნიშნული სახეო- ბა სულ რამდენიმე თვეა, რაც დაინერგა საქართველოში და უკვე ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ფიგურულ სრიალს კარგი პერს- პექტივები აქვს ჩვენს მზიურ რეს- პუბლიკაში, სადაც მცხოვრები ხალხი დაჟილდობულია დიდი ბუნებრივი მუსიკალობით, ტემპე- რამენტით და ემოციური გამომსახ- ველობის ნიჭით.

საქართველოს 1961 წლის ჩემ- პიონი, 12 წლის მოსწავლე ი. ჯაფარიძე მაყურებლებს წარმოუდ- გენს ესპანურ ცეკვას. პოლიტექნი- კური ინსტიტუტის სტუდენტი გ- ხანიაშვილი და საქართველოს 1961 წლის ჩემპიონი ქალთა შორის ი. არხანგელსკაია გამოვლენ ნების- მიერი პროგრამით.

ეკვი არ არის, ქართველი მა- ყურებლები შეიყვარებენ ამ ახალ სახეობასაც, მისი ქომაგები გახდე- ბიან და ყოველივე ამის საფუძ- ველზე, ციგურებით ფიგურული სრიალის კარგ პერსპექტივებს სავ- სებით რეალური სახე მიეცემა.

ი. კლინარი, სპორტის ოსტატ

მეგობრული შარქები

ა. რაჰვინიშვილისა




ბ. კოსტავა



ნ. ასათიანი

პეროპის ჩაგვირთა თასზე

როგორც ვიუწყებოდით, ევრო- პის ჩემპიონთა თასის ნახევარ- ფინალში გავიდნენ მადრიდის „რე- ალისა“ და ამ თასის სამგზის მფლობელის, რიგის არმიელთა სპორტული კლუბის კალთბურ- თელ ვაჟთა გუნდები. ორმხრივი შეთანხმების თანახ- მად ამ გუნდების მატჩები უნდა გამართულიყო ნეიტრალურ მოედ- ნებზე პარიზსა და პრაღაში. უკვე შედგა პირველი მატჩი პარიზში. შეხვედრა მოიგეს „რეალის“ კა- ლათბურთელებმა — 78:75. გან- მეორებითი შეხვედრა ჩატარდება ნელა, 21 ივნისს პრაღაში.





გასულ კვირას დიდი გამოცოც- ხლება იყო კუს ტაზე. დედაქალა- კის მშრომელთა დახვეწების ეს შესანიშნავი, მაგრამ მივიწყებული

ადგილი აახაურეს ტრანსპორტის მუშაკებმა, ითევზავეს, იქიდავს, ბურთი ითამაშეს, იბანავეს ტბის ანკარა წყალში და ენერგია აღდგე-

ნილნი დაბრუნდნენ თბილისში. სურათზე: ქართული ჭიდაობის მომენტი.

ფოტო ს. კრუცკოვისა.



თბილისში ორ დღეს იყო სტუმრად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები, რომელმაც ამხანაგური შეხვედრები გამართა „ბურვეტსნიკის“ ქალთა და ვაჟთა გუნდებთან.

ამარცხა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა გუნდების შეხვედრა, რომელიც მოიგეს ქართველმა კალათბურთელებმა — 67:63.

და ბურთისათვის. უნდა ითქვას, რომ პოლონეთის ქალთა გუნდის თამაშში გამოირჩეოდა დიდი შეუპოვრობით და მონდომებით. სტუმრები ყველა დონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ არ დაეკარგათ ბურთი.

რომელმაც უკან ჩამოიტოვა სამი პოლონელი და წარმატებით აგვირგვინებს შეტევას. მესამე სურათზე კვლავ ბურთისათვის ბრძოლაა გამართული, აქაც ისეთივე მდგომარეობაა. — პოლონელი ე ბი მქედრო რკალად შემოხვევიან მეტოქეს და ცდილობენ გამოგლიჯონ მას ბურთი ხელიდან.



წულუკიძე

ორ თვეზე მეტ ხანს გახტანა წულუკიძის მოსწავლეთა 1961 წლის II სარაიონო სპორტაკადემიის გასული წლის თასის მფლობელნი — ქალაქის პირველი საშუალო სკოლის სპორტსმენები სპორტაკადემიის დაწესებულებაში დაწინაურდნენ. მათ პირველი ადგილები დაისაკუთრეს კალათბურთში, ფრენბურთსა და მძლეოსნობაში.

სტალინი

მიმდინარე წლის სეზონისათვის კარგად მოემზადა სტალინიის ბავშვთა ტურისტული ზაზა. ჩვენი სამშობლოს მრავალი კუთხიდან ჩამოვიყვანე ახალგაზრდები სამხრეთ ოსეთში და ინახულდნენ ოლქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ისტორიულ ძეგლებს. თუ შარშან ტურისტული ზაზა მოემსახურა 850 კაცს, წელს იგი 1.300 ახალგაზრდას გაუწევს მომსახურებას.

ლ ე ლ ო

მთამსვლელის მოგონება

ათიოდე წელს მთებს ვაგეშე მუხლი მაგარი, ათიოდე წელს მიხუტებდა შერდში მყინვარი, ხმაჩაიებით დავეიოდი მყინვან საქართს, ხმას მიბრუნებდნენ ნაპრალებიც აუყვირალი, იყო ღრიალი, ლტოლვა, სუსხი, ძალთა გამოცდა, იყო ბრქვალეებით და კბილებით დაღრღნა ქარაფის, ვიღაც მქაზდა,

მეწეოდა თვისკენ საოცრად, ვიღაც და კიდევ ფერმრავალი თბილის-ქალაქი. მყინვართა ბრქვალეებს გამოვუსხლტი ლაღი ნაფრენით, ამაჲ მწვერვალებს გამომგებდე კვალად ზემოდან, მაინც მოვედი, კიდევ განხეთ, ეს ყველაფერი რომ არ მენახა, არ იქნებოდა.

ბ. წიკლაური

რ ა ი ო ნ შ ი მ ა ლ ა ლ ი მ ა რ ჯ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

თბილისის მოწინავე ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის ვხვდებით კალინინის სახელობის რაიონის წარმოება-დაწესებულება-თა წარმომადგენლებსაც. რაიონში 120 ფიზკულტურული კოლექტივიდან 35 ახლად შექმნილია და მათში 2.500 ფიზკულტურელი იქნა ჩამოყალიბებული. განსაკუთრებით ნაყოფიერად წარმართავენ თავიანთ საქმიანობას მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო-სამშენებლო სასწავლებლის სპორტსმენები, რომლებმაც შარშან მაღალი მაჩვენებლებისათვის საკვაშირო ალექსანდრე ალექსანდრის კომიტეტის საბატიო სიგელი დაიმსახურეს; აგრეთვე „თბილწყალსადენის“ ტრესტის, ინსტიტუტ „კავკაზპროტრანსის“, „საქგაზპრომბეტის“, რესპუბლიკური ბანკის კანტორის, ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრისა და ბალეტის თეატრის, რუსთაველის სახ. თეატრის, სახელმწიფო კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიისა და სხვა დაწესებულებათა კოლექტივები.

სულ 8 კაცი. ეტუობა, პარტაული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ნაკლებ დანერგვებს იხენენ ფიზკულტურული მუშაობისადმი. „ქალაქ-მშენებროქტის“ ინსტიტუტის 600-კაციან კოლექტივს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ მოწინავეთა შორის ჩადგეს, მაგრამ კოლექტივის საბჭო აქ სრულ უმოქმედობას იჩენს, უინციანტივოდ წარმართავს თავის საქმიანობას. იგივე ითქმის შექანიებულ ადრიტების ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობის შესახებაც: აქ შარშან, მშენიშნისანთა და სპორტსმენ-თანრიგისანთა მომზადების გეგმა არ შეუსრულებიათ. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს რადიო-სატრანსლაციო ქსელის დირექციის საქმიანობა სპორტის განვითარებაში. ამას კი გულდამშვიდებით შეცქერის ადგილობრივ და ალექს კომიტეტს. ისეთ მსხვილ ორგანიზაციაში, როგორცაა ბავშვთა 1-ლი საავადმყოფო, რომელიც ასევე კაცს აერთიანებს, ფიზკულტურულ მუშაობა სათანადო სიმაღლეზე უნდა იყოს დაყენებული, მაგრამ ეს ასე როდია. აქ მთელი საქმიანობა ქალაქის სექციის მუშაობით ამოწურება. ესაა და ეს. არც ერთი ნიშნისანი, არც ერთი თანრიგისანი.

არადაამკაყოფილ ვ ბლად მუშაობენ ცეკვაშორის აპარატის, საჯარო ბიბლიოთეკის, კავკასიის შინერალური ნედლეულის ინსტიტუტის სპორტული სექციები და ა. შ.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა შესახებ ამას წინათ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის სახელობის რაიონული კომიტეტის ბიურომ. აღინიშნა, რომ ეს ხარვეზები გამოწვეულია ფიზკულტურული მუშაობის შეუფასებლობით და მისდამი უყურადღებობით, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში განხედან ფიზკულტურული მუშაობისადმი, ხოლო პირველადი ორგანიზაციები ნაკლებად ეხმარებიან მათ. ნაკლებ დახმარებას და კონტროლს უწევენ ფიზკულტურულ კოლექტივებს სპორტულ ორგანიზაციათა და საზოგადოებათა რაიონის საბჭოს პრეზიდიუმში, „სპორტაკისა“ და „განათაღის“ რესპუბლიკური საბჭოებიც.

ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ღვიძლი საქმეა. ისინი მოვალენი არიან ფიზკულტურული საქმიანობა ყოველდღიური ყურადღების ცენტრში დააყენონ.

მ. ჯოლია

ველოსიპედისგამი გზაგაქმნილება

ბათუმის მახლობლად, ზღვისპირა გზატკეცილზე მოეწყო „განათაღის“ სპორტაკადემიის პროგრამით გათვალისწინებული ველოსიპედისტთა შეჯიბრება, რომელშიც 5 გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრების პროგრამაში იყო ქალთა და ვაჟ-

სექსიონელს პრიფტკეკალოლებს სოფლის მეურნეობის მექანიკის სასწავლებელითა სპორტაკადემიის პროგრამით ჩატარდა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და ველობოლაში. მძლეოსნურ სახეობებში პირველობა მოიპოვეს სურამელია სპორტსმენებმა, ფრენბურთში — ველოსიპედებმა, ხოლო ველოსპორტში — ხიდისთაველებმა. 100 მეტრზე რბენაში სპორტაკადემის ჩემპიონი გახდა სურამელი ლ. ნარიშანიძე. ბირთვის კვრასა და სიგრძეზე ხტომაში უძლიერესნი იყვნენ მისი თანაგუნდელები — მ. დანდლოვი და ა. გელაშვილი, 1.500 მეტრზე რბენასა და სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვეს ო. ოდიშერიძე და ი. მალოლუქიანი (ორივე ველოსიპედისა).

ინდივიდუალური რბოლაში 15 კილომეტრზე სპორტაკადემის ჩემპიონობა მოიპოვა ხიდისთაველმა ველოსიპედისტმა — შ. გულუაშვილმა — 29,37,0. ხიდისთაველთა გამარჯვებით დამთავრდა გუნდური რბოლა 25 კილომეტრზე. ყველა სახეობის შედეგების მიხედვით საერთო პირველ ადგილზე გამოვიდა სურამის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის № 14 სასწავლებელი. მომდევნო ადგილებზე არიან ხიდისთაველი და ველოსიპედის სპორტსმენები.

ბავშვთა სპორტულ სკოლებს შორის

ახლანან თბილისში ჩატარდა „განათაღის“ საწარმოთა ფიზკულტურულ კოლექტივებთან არსებული ბავშვთა სპორტული სკოლების პირველობა ტანვარჯიშში, რომლებშიც მონაწილეობდა 5 გუნდი (ორ-ორი სპორტკლუბებიდან — „ისანა“ და „გამარჯვეზა“ და № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის გუნდი) 135 ნორჩი სპორტსმენით.

გუნდურ ჩათვლაში პირველი და მეორე ადგილები დაისაკუთრეს „ისნის“ გუნდებმა; მესამე ადგილი მოიპოვა „გამარჯვეზის“ (კიროვის სახ. ჩარხმშენებელი ქარხანა) პირველმა გუნდმა.


პირად ჩათვლაში გოგონათა შორის (პირველი თანრიგის პროგრამით გათვალისწინებულ ვარჯიშებში) გაიმარჯვა ო. ევსეევამ. მეორე თანრიგისანთა შორის — მ. შამტრიაშვილი, ხოლო მოზარდთა თანრიგში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ლ. მედოევას.

ჭაბუკთა შორის მეორე თანრიგის და მოზარდთა თანრიგის ვარჯიშებში შესაბამისად გამარჯვებულნი გამოვიდნენ ვ. ხოლოსტოვი და ვ. მკრტიჩიანი. აღსანიშნავია დვირზე, ორძელზე და თავისუფლ ვარჯიშში პირველთანრიგისანი გოგონების კარგი მომზადება (მწვერთელი ვ. კლიმოვა).

ბ. თაყაიძე

თა რბოლა 10 და 20 კილომეტრზე. ქალთა შორის დისტანცია ყველაზე უკეთ გაიარა სპორტის ოსტატმა ვ. იურიანამ, რომელმაც აჩვენა შედეგი 15.40,0, ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა, ზ. ცინცაძემ. მისი შედეგია — 32,12,0.

ბ. კირაკოსიანი



მიმდინარეობს მოსწავლეთა სპარტაკიადა

წაალში ხტობა

მიმდინარე წლის მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე შარშანდელთან შედარებით წყალში მტკობელთა დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ტექნიკური მომზადების დონე ბევრით ვერ აღემატება აღრიდელს.

წინასწარ შეხვედრებში 1-მეტრიანი ტრამპლინიდან 6 საცდელი ხტომის შემდეგ შეჯიბრების გაგ-

რძელების უფლება მხოლოდ 10-მა გოგონამ მოიპოვა და აქედან 8 თბილისელი იყო. აფხაზეთისა და აჭარის გუნდების ღირსებას კი მხოლოდ თითო სპორტსმენი იცავდა.

სხვადასხვა მოძრაობებში შესრულებული 10 ხტომის ჩამოთვლა წაველთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონობა შეინარჩუნა აფხაზეთის წარმომადგენელმა დ. კინჭურავილიმა — 99,90 ქულა. აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ მას შარშან გაცილებით უკეთესი შე-

დეგი — 112,72 ქულა ჰქონდა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ თბილისის პირველი გუნდის წარმომადგენლები ა. კოლაგინა და ვ. მარასალოვა, რომლებმაც შესაბამისად 94,90 და 90,98 ქულა დააგროვეს.

კაბუჯთა შეჯიბრებაში საუკეთესო იყო სოხუმელი გ. მხითარაძე, რომელმაც 123,92 ქულა დააგროვა და დამატებულად მოუფლო მისწავლეთა XII რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონის თბილისელ ე. კუპრაიანოვს — 102,65 ქუ-

ლა, მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა თბილისელი ვ. ტატული — 99,35 ქულა.

შეჯიბრება გრძელდება.

ბ. სამსონაძე

ც უ რ ვ ა

სპარტაკიადის საზეიმო გახსნისათვის, რომელიც 24 ივნისს შედგება „ბურევესტნიკის“ სტადიონზე, კარგი საჩუქარი დაამზადეს თბილისელმა მოცურავეებმა — ი. ანიაშვილმა, გ. ავეტიანიმ, ლ. ბერძენიშვილმა და ე. მაკევეამ. გოგონათა „კვარტეტმა“ ესტაფეტაში 4x100 მ თავისუფალი სტილით უჩვენა 5.17,0 წუთი, რაც ახალი რესპუბლიკური რეკორდია გოგონებისათვის.

ესტაფეტაში 4x200 მ კაბუჯებისათვის გამოჩვენებული კვლე თბილისელთა გუნდი გამოვიდა.

100 მეტრზე „დელფინის“ სტილით ცურვაში ჩემპიონობისათვის ბრძოლა გაიმართა საქართველოს რეკორდმენს ი. ანიაშვილსა და ე. მაკევეს (ორივე თბილისიდან) შორის. აღსანიშნავია, რომ სტარტამდე 10 წუთით ადრე ი. ანიაშვილი მონაწილეობდა თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში (წინასწარი შეხვედრები) და აჩვენა დღის საუკეთესო შედეგი — 6.12,3. ამან გარკვეული დანი დასვა მის „დელფინს“ და ერთი წამით წააგო ე. მაკევესთან, რო-

მელმაც დისტანცია 1.31,3 წუთში დაამთავრა.

მოორივე ჩემპიონს გამოვიდნენ 200-მეტრზე „დელფინის“ სტილით ცურვაში. ისინი აჩვენეს წინა რეკორდს — 3.07,3. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ რ. ჭირსანოვი და თ. კუჭხიძე.

100 მეტრზე ზურვით ცურვაში წინასწარ შეხვედრებში თითქმის კონკურენტის გარეშე იყვნენ თბილისელი გოგონები, ვაჟთა შორის კი მათ თანაგუნდელს ბ. ლევაკასა და ზ. შილაკაძეს „პრისანტე“ მეტოქე გამოუჩნდათ სოხუმელ რ. აფაქიძის სახით.

ორი დღის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზეა თბილისის, მეორეზე — აფხაზეთის და მესამეზე — აჭარის გუნდი.

ბ. კამენსკი, სპორტის ოსტატი

ჭ ა დ რ ა კ ი

რესპუბლიკურ ცენტრალურ სპორტულ კლუბში მიმდინარეობს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოსწავლეთა პირად-გუნდური შეჯიბრება.

შეჯიბრება მიმდინარეობს შევცარული სისტემით ცალცალკე როგორც კაბუჯების, ისე გოგონებისათვის. სულ გათამაშდება 8 ტური.

ჯიჯიბრებით ტურნირში გათამაშდა 4 ტური. კაბუჯების შეჯიბრებაში ყველა პარტია მოიგო თბილისელმა რ. ჭირსანოვიმ. ლიდერს 0,5 ქულით ჩამორჩებან თბილისელები მ. ლევინი და ლ. შალაბერიძე, ფოთელი თ. გუგუშვილი, ბათუმელი ი. სარჯველაძე.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნება გოგონების შეხვედრებს შეჯიბრების მთავარი მსაჯის ვ. გოგლიძის აზრით გოგონების თამაშს დონე შესაძინეად გაზრდილი წინა წლებთან შედარებით. 14 ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულა აქვთ თბილისელ ც. კახაბრიშვილს და ბათუმელებს ვ. ტატარინოვსა და ლ. შავთვალიშვილს.

რედაქტორი ი. უგულუაძე.



22-25 ივლისი

სპორტის სახსლის ყინულის სარბილზე მოაწყობა ფიზიკურ სწავლაში საპროტა კამპანის ნაპრაბი გუნდის წევრთა საჩვენებელი გამოცვლავი. დასაწყისი 20 ს.

სამაჩხურო რუკები გუჩისგებისათვის

ახლანან მოსკოვში გამოიქცა ტურისტული სამარშრუტო რუკა, რომელიც მოიცავს ვოლგისპირეთის მარშრუტებს. რუკას დართული აქვს მოკლე მიმოხილვა, რომელშიც მოიხსენიება მრავალი საინტერესო და სასარგებლო ცნობა ვოლგისპირეთის შესახებ. მზადდება აგრეთვე ჩენი ქვეყნის სხვა მხარეების ამსახველი სამარშრუტო რუკებიც. ასე მაგალითად, ტური-სტები მიიღებენ რუკებს შემდეგი მარშრუტებისათვის: ფასანაური — ჩარგალი-თიანეთი-თელავი; ალმა-ატა-ისაყის ტბა; ალმა-ატა-პრეკვა-ლსკი; კიევი-კანევი; ნალჩიკი-მეს-ტა; სიმფეროპოლი-ალუშტა-ილ-ტა; ცესისი-სიგულდა-მდ. გაუთი. ზოგიერთ ამ რუკაზე ნაჩვენებია იქნება ლამისთევისთვის რეკომენდებული ტურისტული ბაზები.

მომზადებულია აგრეთვე გამოსაცემად რამდენიმე ილუსტრირებული სქემა, რომელზედაც მონაწილეობს არქიტექტურული ძეგლები, მუზეუმები, ამ სქემებს თან ერთვის საცნობარო ტექსტებიც. აღნიშნული სამარშრუტო რუკები და სქემები გამოადგებათ იმათ, ვინც აპირებს მოგზაურობას ყირიმში, შვეიცარიის სანაპიროზე, საქართველოში და სომხეთში.



ფეხბურთის ქრონიკა

ევროპაში ვანაგრძობს ტურნეს არგენტინის ფეხბურთელია ეროვნული ნაკრები გუნდი. მორიგი მატჩი არგენტინელებს ჰქონდათ ფლორენციაში, იტალიის ნაკრებთან.

იტალიელებმა საუკეთესო თამაში აჩვენეს და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:1. აღსანიშნავია, რომ არგენტინის გუნ-

ბათუმის სტენდებზე

ბათუმში ჩატარდა „აჭარმონკაე-შირის“ პირველობა სასტენდო სროლაში. ადგილიდან სროლაში I ადგილი დაიკავა ზ. კვაჭაძემ (86 მოხვედრა 100 შესაძლებლიდან); მრგვალ სტენდზე სროლაში გაიმარჯვა ლ. შუმილინმა, რომელმაც 88 ქულა მოაგროვა 100 შესაძლებლიდან.

საერთო I ადგილი დაიკავა ზ. კვაჭაძემ, II ადგილზეა ლ. შუმილინი, მესამეზე — ვ. რადჩენკო.

ნ. შუპარდიაძე, ვ. პანტურია.

სურათზე: ზევით — ზ. კვაჭაძე სროლის დროს, ქვევით — აჭარის ჩემპიონები ზ. კვაჭაძე (მარცხნივ) და ა. შუმილინი.

პ. ჩერუტის „ხუმრობა“

ღაბს უკარგავს მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს — სინაზეს, სხეულის სიმშვენიერეს და ა. შ. და უმატებს, რომ ოლიმპიადებში მონაწილე ქალები არაფრით გვანან „ულამაზეს პარიზელებს“, ჩერუტის ამ გამოხვედრამ აღუფრთხვია გამოიწვია სპეციალისტებში დასავლეთეგრძანულ კუ-

რნალ „ოლიმპიუს ფიერში“ დაიბეჭდა საპასუხო წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ „ოლიმპიურ თამაშებზე მძლეოსანთა შეჯიბრების დროს ჩერუტი ვენეტოს ქუჩაზე მდებარე კაფეში ყავით ირთობდა თავს და. ცხადია, არ შეეძლო შეემჩნია, რომ როგორც გამარჯვებულ-

ნი, ისე დამარცხებულნი არაფრით ჩამორჩებიან „ულამაზეს პარიზელებს“, „რუსი საპროტა ტანმოვარჯიშეები არაფრით ჩამორჩებიან გოთურ მაღონებს. ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. რუდოლფს აქვს ყველაფერი კარგი, რასაც ადამიანს აქვს ბუნება, ყველაფერი, რაც საჭიროა სიყვარულისათ-

ვის, ჩერუტის ეს გამოხვედრა სხვა არაფერია თუ არა სულელური ხუმრობა განაწყენებულ იმ მწვრთნელისა, რომელმაც ვერ შეძლო ქალთა შორის ღირსეულ სპორტსმენთა აღზრდა.“ ცხადია, ჩერუტის არცხმის ფიზიკულტურისა და სპორტის მნიშვნელობა ქალთათვის და წყალს ახსნის სპორტის მტრების წისქვილზე.